 სსიპ კოლეჯი “ახალი ტალღა”

04/11/2024

MES 2 24 001-04/190

ბრძანება №01-04/190
სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში'' 2024 წლის მიღებაზე, აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, რეიტინგული სიების გათვალისწინებით, სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში'' განცხადებების და დოკუმენტაციების წარმოდგენის, ხელშეკრულების გაფორმების ვადების და პირობების განსაზღვრისა და აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით დოკუმენტების მიმღები კომისიის შექმნის შესახებ

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ (ცვლილება: 2024 წლის 24 ივნისის N110/ნ) ბრძანების, სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2024 წლის 19 აგვისტოს N04-04/137 და 2024 წლის 28 ოქტომბრის N01-04/185 ბრძანების, დირექტორის მოადგილის 2024 წლის 04 ნოემბრის N1410501 სამსახურებრივი ბარათის,„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის ,,ი“ პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში'' 2024 წლის მიღებაზე აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, შესაბამის პროგრამებზე დაშვების წინაპირობებით აპრიკანტების მიერ დოკუმენტაციების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 04 ნოემბრიდან 15 ნოემბრის ჩათლით;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის და აპლიკანტებზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შემდეგ, პროფესიულ სტუდენტებსა და სსიპ კოლეჯ ,,ახალი ტალღას'' შორის ხელშეკრულების გაფორმების ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2024 წლის 17 ნოემბრიდან 2024 წლის მიღებაზე სწავლის დაწყების შესახებ განსაზღვრულ ვადამდე (2024 წლის 25 ნოემბრამდე);
3. სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში'' 2024 წლის მიღებაზე აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით შეიქმნას დოკუმენტების მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   კომისიის თავმჯდომარე: ნელი ღუდუშაური (ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის კოორდინატორი,
   კომისიის მდივანი: ნატო შაქარიშვილი (სტუდენტების/მსმენელების საქმისწარმოების სპეციალისტი),
   კომისიის წევრები: თალიკო რევაზიშვილი (ბიბლიოთეკარი),
   ირინა ჯინჭარაძე (სასწავლო პროცესის სპეციალისტი);

4. სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღის'' ხულოს ფილიალში 2024 წლის მიღებაზე აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით შეიქმნას დოკუმენტების მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე: ნინო გრძანელიძე (სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი),

კომისიის მდივანი: გულნარა ლაბაძე (სასწავლო პროცესისა და სტუდენტური სერვისების სპეციალისტი),

კომისიის წევრი: მერაბი აბულაძე (ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი);

5. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შესაბამის ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, აპლიკანტს არ მიენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

6. ამ ბრძანების მეორე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, პროფესიული სტუდენტების მიერ, სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღასთან'' პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების არ გაფორმების შემთხვევაში, სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღა" უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტს შეუწყვიტოს პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

7. ამ ბრძანების პირველი და მეორე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციების წარდგენა და ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდება, სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში" ქობულეთის ჯგუფებისათვის - ქ. ქობულეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა N154-ში, ხულოს ფილიალის ჯგუფებისათვის - დაბა ხულო, მ. შავაძის ქუჩა N3-ში, (დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია - ქობულეთი ტელ: 0426 26 6851, 591811170, 591811176, 577444469, დაბა ხულო: 577032606);

8. ბრძანებაზე კონტროლი და შესაბამისი ღონისძიებების გატარება დაევალოს სასწავლო პროცესის მენეჯერ ქალბატონ ნატო რომანაძეს, ხარისხის მართვის მენეჯერს ქალბატონ ნათია ევგენიძეს, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერ ქალბატონ თამარი თედორაძეს, სტუდენტების/მსმენელების საქმისწარმოების სპეციალისტ ქალბატონ ნატო შაქარიშვილს, სტუდენტური სერვისებისა და კარიერის მართვის მენეჯერ ქალბატონ ლიუზა რომანაძეს**,** კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობების მართვის მენეჯერ ქალბატონ ნინო მჟავანაძეს, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტ (შტატგარეშე თანამშრომელ) ქალბატონ ლია დოლიძეს, სასწავლო პროცესის ასისტენტ (შტატგარეშე თანამშრომელ) ქალბატონ ეთერ ვერულიძეს, შესყიდვების კოორდინატორ ქალბატონ მარინე ცეცხლაძეს, საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის მენეჯერ ბატონ ჭაბუკი ვერულიძეს, ხულოს ფილიალის სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერ ქალბატონ ნინო გრძელიძეს, სასწავლო პროცესისა და სტუდენტური სერვისების სპეციალისტ გულნარა ლაბაძეს;

9. დაევალოს კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ქსელის ადმინისტრატორ ბატონ დენის ლადიგინს საჯაროობის მიზნით ბრძანების განთავსდეს კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე;

10. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში. მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა №30;

11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და

ახალგაზრდობის სამინისტრო/
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები/
სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"/
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მეგრელიძე ირმა